# თელავის ი.გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

## სილაბუსი

**ფაკულტეტი –** პედაგოგიური, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა

**კათედრა –** ქართული ფილოლოგიის

**სალექციო კურსი –** ქართული ენის სწავლების მეთოდიკა 2

**კურსის კოდი: P.2.K.01**

**კრედიტების რაოდენობა: 5** III სემესტრი

**სალექციო კურსის სტატუსი –** სავალდებულო


**ლექტორი:** **პროფესორი** ნათელა მაღლაკელიძე

საკონტაქტო ტელეფონი: 33-22-61; მობ. 593-53-35-27

ელ.ფოსტა: **natela_maglakelidze@yahoo.com**


**"ქართული ენის სწავლების მეთოდიკა"** განეკუთვნება ინტეგრირებულ მეცნიერებათა რიცხვს. ის თავისთავში აერთიანებს ლინგვისტიკის, ფსიქოლოგიის, პედაგოგიკის მონაცემებს. ამდენად, მისი სწავლება გულისხმობს, რომ სტუდენტს უკვე აქვს საბაზისო განათლება ქართული ენაში, ზოგად პედაგოგიკაში, ქართული ლიტერატურაში, ზოგადსა და ასაკობრივ ფსიქოლოგიაში.

### კურსის მიზნები

- **"ქართული ენის სწავლების მეთოდიკა"** ეხმარება სტუდენტს, მომავალ მასწავლებელს, პროფესიულ დახელოვნებაში, ამზადებს მას სკოლაში პედაგოგიური პრაქტიკისათვის, აძლევს სათანდო პროფესიულ უნარ-ჩვევებს, აცნობს მშობლიური ენის სწავლების როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე მეთოდებს.
- აღნიშნულ კურსს საფუძვლად ედება ლინგვისტური განათლებისა და მეთოდიკური ორიენტაციის ერთიანობის პრინციპი, რაც პირველ რიგში გამოიხატება შესასწავლი საკითხების ლინგვოდიდაქტიკური საფუძვლების კვლევაში, ასევე – სტუდენტის მიერ ისეთი პრობლემური საკითხების დამუშავებაში, რომლებიც თავისთავში აერთიანებენ საკითხის ლინგვისტური, ფსიქოლოგიური და მეთოდიკური ასპექტებით კვლევას.
- კურსის მიზანია არა მხოლოდ პრაქტიკოსი მასწავლებლის, არამედ მკვლევარის მომზადებაც, რომელსაც ეცოდინება ქართული მეთოდიკური აზროვნების განვითარების ისტორიული ასპექტები, დაუფლებული იქნება არა მხოლოდ ქართული, არამედ საზღვარგარეთული კვლევის მეთოდებსაც.

საწავლის შედეგები

| | ზოგადი კომპეტენციები | დარგობრივი კომპეტენც ები |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება. | • ეროვნული სასწავლო გეგმებითა და საგნობრივი სანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს (კლასების მიხედვით)<br>• პილოტირებული სახელმძღვანელოების აგების პრინციპებს<br>•ცოდნის შემოწმებისა და შეფასების თანმედროვე სისტემების ცოდნა. | • ქართული ენის გრამატიკის მეთოდებისა და ხერხების ღრმა და სისტემური ცოდნა;<br>• გრამატიკის სასკოლო კურსის ძირითადი პრინციპების ცოდნა;<br>სამეტყველო უნარ-ჩვევების სწავლების უნარი;<br>• სწავლების სტრატეგიების შერჩევა და მათი ადეკვატურად გამოყენება;<br>• ენობრივი მახასიათებლების გამოყრნება ტექსტების სტრუქტურის ასახსნელად |
| ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი | შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში რეალიზება- ქართული ენის გრამატიკის საკითხების სწავლების უნარი | • რეფერატის დაწერა<br>• სათანადო წყაროების მიხედვით<br>• ორთოგრაფიისა და პუნქტუაციის ნორმების დაცვა;<br>• გამოკვლევის დაწერა შერჩეულ თემაზე |
| დასკვნის უნარი | დაგროვილ ცოდნაზე დაფუძნებით ადეკვატური ანალიზისა და დასკვნის გაკეთება | მოსმენილი გაკვეთილის ანალიზი და საკუთარი მოსაზრებების წარმოჩენა და დასაბუთება |
| კომუნიკაციის უნარი | პროფესიული ზეპირი და წერილობითი კომუნიკაცია ;<br>პრეზენტაცია თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით | სასწავლო პროექტის შექმნა და წარმოდგენა პროფესიული აუდიტორიის წინაშე; |
| სწავლის უნარი | შეუძლია დამოუკიდებლად სწავლა;<br>საკუთარი საქმიანობისა და კარიერის დაგეგმვა. | შეუძლია ახალი ინფორმაციის მოძიება და საკუთარი ცოდნის დონის გაღრმავება;<br>ინტელექტუალური ცოდნის გაღრმავება. |

<table>
<tr>
<td></td>
<td>
<table>
<tr><td>ღირებულებები</td><td>გააჩნია პროფესიული პრინციპების დაცვისა და სხვებისადმი გაზიარების უნარი. ახალი ღირებულებების დამლვიდრების უნარი</td><td>ითვალისწინებს და პატივს სცემს სპეციალისტების აზრს, აცნობიერებს ზუსტი და თანადროული მუშაობის აუცილებლობას.</td></tr>
<tr><td></td><td></td><td></td></tr>
</table>
</td>
</tr>
<tr>
<td>ლექცია 1-2</td>
<td>
მოსწავლეთა ძირითადი სამეტყველო უნარ-ჩვევების განვითარება მშობლიური ენის სწავლების პროცესში
კურსის შინაარსი
თემა: ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდები და ხერხები
აქ განვიხილავთ გრმატიკის სწავლების ტრადიციულ გზებს (ინდუქცია, დედუქცია), მეთოდებს (საუბრის, თხრობის), ხერხებს (შედარება-შეპირისპირების, ჩასმის/ჩანაცვლების, კითხვების, ენაზე დაკვირვების, ტესტირების), გრამატიკული გარჩევის სახეები (ზეპირი და წერილობითი, მორფოლოგიური, სინტაქსური, ორთოგრაფიული, პუნქტუაციური), ინდივიდუალური, ჯგუფური და წყვილებში მუშაობა. ჩატარდება მინი-გაკვეთილი გრამატიკის ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. მომზადდება გაკვეთილის სცენარი.
ყურადღება მიაქციეთ იმ გარემოებას, რომ გრამატიკული მასალის სწავლებისას არ არსებობს მზამზარეული რეცეპტი. მეთოდის, ხერხის არჩევას განაპირობებს მასალის ხასიათი, კლასის მომზადების საერთო დონე და კონკრეტული სიტუაცია. ძალზე მნიშვნელოვანია ამ მრავალფეროვანი მეთოდებიდან სათანადო სიტუაციისათვის კონკრეტული მეთოდის შერჩევა. პრაქტიკულ მეცადინეობაზე სწორედ ამ საკითხზე გაკეთდება აქცენტი.
ლიტერატურა:
<ol>
<li>მ. თალაკვაძე, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, გვ.14-35.</li>
<li>მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, გვ.13-32.</li>
<li>ნ. მაღლაკელიძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ. 175-209.</li>
<li>ვ. რამიშვილი, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ. 238-275.</li>
</ol>
</td>
</tr>
<tr>
<td>ლექცია 3-4</td>
<td>
თემა: გრამატიკის სასკოლო კურსის სწავლების ძირითადი პრინციპები
განიხილება გრამატიკის სასკოლო სახელმძღვანელოთა აგების პრინციპები–კონცენტრული და სისტემატური.; აგრეთვე გრამატიკის სწავლების მიზნები, თვალსაჩინო და დიდაქტიკური მასალის შერჩევა და გამოყენება, ლიტერატურული და ენობრივი მასალის
</td>
</tr>
</table>

| | |
|---|---|
| | ურთიერთკავშირი. სტუდენტმა თავად უნდა შეძლოს სახელ-მძღვანელოს მაკეტის შედგენა, თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალის მოძიება და დამზადება, ლიტერატურული და ენობრივი მასალის ურთიერთკავშირში ანალიზი.<br><br>საჭირო ლიტერატურა:<br>1. **ეროვნული სასწავლო გეგმა**<br>2. **საგნობრივი სტანდარტები ქართულ ენასა და ლიტერატურაში**<br>**ქართული ენის სასწავლო კომპლექსი**<br><br>ცოდნის შუალედური შემოწმება – შუალედური წერა, პრეზენტაცია |
| ლექცია 5-6 | თემა: **ორთოგრაფიის სწავლების მეთოდიკა**<br><br>განიხილება ორთოგრაფიის რაობა და საგანი ზოგადად, მართლ-წერის პრინციპები, ქართული მართლწერის თავისებურება და მისი მიმართება მართლწარმოთქმასთან, მართლწერის შესწავლის საფუძვლები (*წესის ცოდნა, მხედველობითი და სმენითი ფაქტორები, ხელის მოძრაობა-მოტორიკა*); გაანალიზდება ***მექანისტური*** თეორია, რომლის ბრმად გადმოტანა, ქართული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე, მიუღებელია. განვიხილავთ ორთოგრაფიულ სავარჯიშოთა სახეებს (*გადაწერა, კარნახი*), მათი ჩატარების მეთოდიკას, შემოქმედებითი ხასიათის წერით სავარჯიშოებს, რომელთაც განსაკუთრებული როლი ენიჭებათ ორთოგრაფიული ჩვევის ავტომატიზაციისათვის.<br><br>ლიტერატურა:<br>1. **ვ. თოფურია**, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, გვ.55-60.<br>2. **ნ. მაღლაკელიძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ. 227-235.<br>3. **ნ. მაღლაკელიძე, მ. მიქაძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ.300-330.<br>4. **ვ. რამიშვილი**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ.253-320. |
| ლექცია 7-8 | თემა: **პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა**<br><br>გაანალიზდება პუნქტუაციის რაობა, საგანი, მისი საფუძვლები, ისტორია. *ყურადღება მიაქციეთ* იმ გარემოებას, რომ საკითხის ირგვლივ მკვლევართა შორის აზრთა სხვადასხვაობაა. ამჟამად სადავო აღარ არის, რომ პუნქტუაციის საფუძველი არის სინტაქსი (*და არა ინტონაცია*); ძალზე მნიშვნელოვანია პუნქტუაციურ შეც-დომათა გამომწვევი მიზეზების ცოდნა, მათი კლასიფიკაცია.<br>განიხილება პუნქტუაციურ შეცდომათა ტიპები კლასების მიხედვით, მათი გამომწვევი მიზეზები, პუნქტუაციის სწავლების მეთოდები და |

| | |
|---|---|
| | ხერხები, პუნქტუაციური გარჩევა. პრაქტიკულ მეცადინეობაზე საგანგებო ყურადღება დაეთმობა სავარჯიშოთა შედგენას, შეცდომათა გასწორებასა და აღრიცხვას.<br><br>ლიტერატურა:<br>1. **ნ. ბასილაია**, ქართული პუნქტუაცია, გვ. 11-28.<br>2. **ვ. რამიშვილი**, პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა, 45-67.<br>3. **ნ. მაღლაკელიძე, მ. მიქაძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, გვ.337-349.<br>4. **ზ. ჭუმბურიძე, რ. გაბეჩავა**, ქართული ენა, XI კლასის სახელ-მძღვანელო, გვ. 155-181. |
| ლექცია 9-10 | **თემა – მეტყველების სტილზე მუშაობის საკითხები**<br><br>განიხილება სტილის რაობა, საგანი, გზა "სამი სტილის თეორიიდან" ფუნქციონალურ სტილისტიკამდე, სტილისტური ხარვეზები მოსწავლეთა მეტყველებაში და მათი აღმოფხვრის გზები, გრამატიკული სინონიმიკის საკითხები, ფუნქციური სტილის გამოყენება და დანიშნულება, ფუნქციური სტილის სახეები, (*სასაუბრო, ოფიციალურ-საქმიანი, პუბლიცისტური, სამეცნიერო, მხატვრული*), ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი "სტანდარტებისა" და პილოტირებული სახელმძღვანელოების ანალიზი ამ მიმართებით.<br><br>ლიტერატურა:<br>1. **ა. არაბული**, ქართული მეტყველების კულტურა, თბ. 2005 წ. გვ. 188-258;<br>2. ეროვნული სასწავლო გეგმა, თბ. 2007 წ.<br>3. **მ. ინასაიძე, მ. ნაჭყებია**, ქართული ენისა და ლიტერტურის სწავლების თანამედროვე მეთოდები 2006, გვ. 59-130. |
| ლექცია 11-12 | **თემა: ლიტერატურული და ლინგვისტური მასალის ინტეგრაციის პრინციპები**<br>განიხილება ტექსტი და მისი ძირითადი სტრუქტურული ნიშნები; კერძოდ, ტექსტი, როგორც ენობრივი აქტივობის კონკრეტული შედეგი; მისი ძირითადი მახასიათებლები (*დასაწყისი და დასასრული, შინაარსობრივი მთლიანობა, მთავარი სათქმელის კონცენტრაციის პრინციპები, ტექსტის სტრუქტურული მთლიანობა, სათაური...*), წინა პლანზე წამოიწევს ენობრივი და ლიტერატურული მასალის ურთიერთმიმართების საკითხი, სიტყვის მხატვრული გამომსახველობა, მხატვრულ სახეთა გამოხატვის ენობრივი მექანიზმი, მწერლის ენობრივი საშუალებები და მისი ეფექტი, ტექსტის სტრუქტურულ-სემანტიკური ფუნქცია...<br><br>ლიტერატურა: |

| | |
|---|---|
| | 1. **ა. არაბული**, ქართული მეტყველების კულტურა, გვ. 252-258;<br>2. ეროვნული სასწავლო გეგმები<br>3. **ზ. ჭუმბურიძე, რ. გაბეჩავა**, ქართული ენა, XI კლასის სახელმძღვანელო, თბ. 2005, გვ. 146-153 |
| ლექცია 13-14 | **თემა: მოსწავლეთა ცოდნის შეფასების ფორმები ქართულ ენაში**<br><br>განიხილება წერით ნამუშევრებში დაშვებულ შეცდომათა ტიპები, მათი კვალიფიკაციისა და კლასიფიკაციის პრინციპები, მათი გასწორება და შეფასება, შეფასების სისტემები, მრავალკომპონენტიანი შეფასება; ტესტირება, როგორც ცოდნის შემოწმების ერთ-ერთი ფორმა ქართულ ენაში, ტესტების შედგენის პრინციპები... თვითშეფასება და ურთიერთშეფასება.<br><br>ლიტერატურა:<br>1. **ნ. მაღალკელიძე, მ. მიქაძე,** ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, ქუთაისი, 1999, გვ. 356-398;<br>2. კრებული **"სწავლება და შეფასება"**, 2008, გვ. 89-110.<br><br>ცოდნის შუალედური შემოწმება – შუალედური წერა, პრეზენტაცია |
| მე-15 კვირა | შემაჯამებელი მუშაობა |
| | ***საბოლოო გამოცდა*** |

**სტუდენტთა ცოდნის შეფასების სისტემა და კრიტერიუმები –** სტუდენტი საბოლოოდ შეფასდება სემესტრის დასასრულს მაქსიმუმ 100 ქულიანი სისტემით.
**გათვალისწინებული იქნება შემდეგი კომპონენტები :**

**I. შუალედური შეფასება —— მაქსიმუმ 60 ქულა, აქედან:**

ა/. **ორი შუალედური წერა** —— მაქსიმუმ **30** ქულა, თითოეული მაქსიმუმ **15** ქულა (VIII, XIII კვირა). სტუდენტებს საწერად მიეცემა ერთი თეორიული (მაქსიმუმ 10 ქულა) და ერთი პრაქტიკული ხასიათის (მაქსიმუმ 5 ქულა) დავალება.

***შუალედური წერის შეფასების კრიტერიუმები:***

1. **დავალება — თეორიული საკითხი (მაქსიმუმ 10 ქულა) აქედან:**
   - საკითხის ადეკვატურად გაგება და გააზრება — 4 ქულა;
   - ნაშრომის აგება დაარგუმენტირება-ციტირება— 4 ქულა;
   - წერითი მეტყველების კულტურა (ორთოგრაფია, სინტაქსი, სტილი, პუნქტუაცია) მხოლოდ 4 შეცდომა —— 2 ქულა;

     დაშვებულია 5-დან 10–მდე შეცდომა —— 1 ქულა;

10-ზე მეტი შეცდომა ———— 0 ქულა

**2. დავალება — პრაქტიკული საკითხი (მაქსიმუმ 5 ქულა) აქედან:**

- დავალების ადეკვატურად და ზუსტად შესრულება—3 ქულა;
- ნაწილობრივ ადეკვატურობა, თუმცა სიზუსტე – 2 ქულა;
- ნაწილობრივ ადეკვატურობა და ორიოდე უზუსტობა –1 ქულა;
- არაადეკვატურობა და სამ უზუსტობაზე მეტი — 0 ქულა.
- წერითი მეტყველების კულტურა – 2 ქულა;
- არაა დაცული წერითი მეტყველების კულტურა ––– 0 ქულა.

**ბ/. ზეპირი სააუდიტორიო აქტივობები/ტესტირება –** მაქსიმუმ **20** ქულა **(4X5ქულა);** ამ კომპონენტის პირველი და მეორე შეფასება – მაქსიმუმ 10 ქულა დაიწერება არა უგვიანეს შესაბამისი სემესტრის მე-8 კვირისა და შეფასების თარიღთან ერთად დაფიქსირდება შუალედური შეფასების უწყისში მათი გამოცხადებიდან არა უგვიანეს 3 სამუშაო დღისა და გადაეცემა ფაკულტეტის დეკანატს.

***პრეზენტაცია ძირითადად შეფასდება შემდეგი სქემის მიხედვით:***

- თემის წარმოდგენა (მიზანთან შესაბამისობა);
- მსჯელობის ლოგიკური განვითარება და რიტორიკის კულტურა;
- არგუმენტაცია და ვიზუალური მასალა;
- კითხვებზე პასუხი/დებატის ხელოვნება და აუდიტორიასთან ურთიერთობა;

საპრეზენტაციო თემის შერჩევისას გათვალისწინებული იქნება სტუდენტის სურვილი.

**გ/. საშინაო დავალება/რეფერატი** — მაქსიმუმ 10 ქულა,

*შეფასების კრიტერიუმები:*

- ადეკვატურობა და სრულყოფილება ——— 3 ქულა;
- ლოგიკურობა და თანამიმდევრულობა ———— 2 ქულა;
- დამოუკიდებელი აზროვნება (ინდივიდუალიზმი) ––– 3 ქულა;
- წერითი მეტყველების კულტურა ———— 2 ქულა.

**II. დასკვნითი გამოცდა ––– მაქსიმუმ 40 ქულა (ზეპირი)**

დასკვნით, შემაჯამებელ გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს იმ შემთხვევაში, თუ შუალედური შეფასება შეადგენს მინიმუმ 11 ქულას. მან უნდა გამოამჟღავნოს სემესტრის განმავლობაში შესწავლილი თეორიული და პრაქტიკული მასალის შესაბამისი ცოდნა.

კრედიტი მიენიჭება სტუდენტს მინიმუმ **51** ქულის დაგროვების შემთხვევაში და უფლება ეძლევა, თავად გადაწყვიტოს საბოლოო გამოცდაზე გასვლის საკითხი.

**მოთხოვნები –** ა/. ქცევა – თავშეკავებულობა, კორექტულობა, საკუთარი აზრის მისაღებ ფორმაში ჩამოყალიბება;

ბ/. კატეგორიულად აკრძალულია გადაწერა და
პლაგიატობა – საშინაო დავალებები – 0 ქულა,
შუალედური წერა – 0 ქულა,
საბოლოო გამოცდა – 0 ქულა.

**აღნიშნული დისციპლინის მოსმენის შემდეგ მსმენელი მზად იქნება ამ მიმართულებით დოქტორანტურაში სწავლის გასგრძელებლად.**

**საჭირო ლიტერატურა/სახელმძღვანელოები/ჟურნალები/ვებ-გვერდები:**


1. **არაბული ა.** ქართული მეტყველების კულტურა, 2006
2. **ბასილაია ნ.** ქართული პუნქტუაცია , 1956,
3. **რ. გაბეჩავა**, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის საკითხთა სწავლება სკოლაში, 19992,
4. **მისივე**, სტილისტიკის საკითხთა სწავლება რვაწლიან სკოლაში, 1993,
5. **ვ. თოფურია**, ქართული ენა და მართლწერის ზოგიერთი საკითხი, 1965,
6. **თალაკვაძე მ.**, ზმნის სწავლება სკოლაში, 1955
7. **მისივე**, ქართული ენის გრამატიკის სწავლების მეთოდიკა, 1976,
8. **მ. ინასარიძე, მ. ნაჭყებია**, ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები, 2006
9. **ნ. მაღლაკელიძე**, ზმნის სწავლება სკოლაში, 1997
10. **ნ. მაღლაკელიძე**, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 2004
11. **ნ, მაღლაკელიძე, მ. მიქაძე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკის საკითხები, 1997**

**დამატებითი ლიტერატურა**

12. **რამიშვილი გ. დედაენის თეორია, 2002**
13. **რამიშვილი ვ. პუნქტუაციის სწავლების მეთოდიკა, 1954**
14. **მისივე, ქართული ენის სწავლების მეთოდიკა, 1966**
15. **საპირი ე. კულტურა, ენა და პიროვნება, 2005**
16. **დ. უზნაძე, ბავშვის ფსიქოლოგია, 2002**
17. **Foreign and Second Language Learning, William T. Littlewood, Cambgriadge, 1984,**
18. **Principle and Practice in Second Language Acquisition, Krashen S. D. New-York, 2005**

**WWW. mes.gov.ge**
**WWW. 1 SEPTEMBER.RU/RU/RUS/99/RUS44.htm**


ლიტერატურა ხელმისაწვდომია უნივერსიტეტისა და სარაიონო ბიბლიოთეკაში. ასევე ლექტორის პირად ბიბლიოთეკაში.